

თიბისი ბანკი – შპს-ის უზღდიდში

პირველი ფილიალი უზღდიდის რაიონში და 48-ე საქართველოში

პრესრელიზი

27 ივნისს, 16:00 საათზე, ქალაქ უზღდიდში (მის: გამსახურდიას ქ. №30/32) საზეიმოდ გაიხსნება თიბისი ბანკის ახალი ფილიალი, რომელიც მოემსახურება უზღდიდის რაიონში მცხოვრებ კერძო პირებსა და რეგიონში მოღვაწე ორგანიზაციებსა და ბიზნეს კომპანიებს. ბანკის წარმომადგენლებთან ერთად ღონისძიებას დაესწრებიან ადგილობრივი ხელისუფლებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

თიბისი ბანკის უზღდიდის ფილიალი, რომელიც პირველია ამ რაიონში, ხოლო 48-ე საქართველოს მასშტაბით, იმ ახალი სტანდარტების მიხედვით შეიქმნა, რომელიც თიბისი ბანკის ინოვაციას წარმოადგენს ქართულ საბანკო სექტორში. კერძოდ, ესა არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე ტიპის საბანკო ფილიალი, რომელიც მომხმარებელს მომსახურების სრულიად განსხვავებულ ფორმებს სთავაზობს – კლიენტსა და ბანკის თანამშრომელს შორის მოხსნილია ყოველგვარი ბარიერი, კლიენტების მომსახურება მოხდება გახსნილ სივრცეში, სადაც კლიენტი თავისი თვალთ ხედავს მომსახურების პროცესს.

თიბისი ბანკის ახალი ფილიალი პირდაპირ გამოხატავს სლოგანს “ჩემ გვერდით ჩემი ბანკია” – კლიენტი და ბანკის თანამშრომელი გვერდიგვერდ დგანან და ერთად ღებულობენ გადაწყვეტილებას. ასეთი ღონის საბანკო ფილიალები დღეისათვის მსოფლიოს მხოლოდ რამდენიმე წამყვან ბანკს აქვს (Deutsche Bank, ABN Amro, City Bank და სხვა).

ასეთი ახალი კონცეფციის ფილიალების შექმნა თიბისი ბანკმა 5 თვის წინათ დაიწყო და დღემდე გახსნილია 15 ახალი ტიპის ფილიალი. წლის ბოლომდე ახალი სტანდარტების მქონე 40 ფილიალი იფუნქციონირებს.

თიბისი ბანკის უზღდიდის რაიონის ყველა სკოლას “ვეფხისტყაოსანს” გადასცემს

უზღდიდში ახალი ფილიალის პრეზენტაციაზე თიბისი ბანკი ყველა სკოლას საჩუქრად გადასცემს “ვეფხისტყაოსნის” ახალ აკადემიურ გამოცემას, რომელიც მისი ზიზის ილუსტრაციებით გამოსცა მედიასახლმა “კვირის პალიტრა”.

უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული, შოთა რუსთაველის პოემა თიბისი ბანკმა სპეციალურად შეიძინა. უზღდიდში ახალი ფილიალის გახსნას თიბისი ბანკი ამ სახის საქველმოქმედო აქციით აღნიშნავს. “ვეფხისტყაოსნის” ახალი აკადემიური გამოცემა გადაეცემა უზღდიდის რაიონში არსებული ყველა საშუალო სკოლის ბიბლიოთეკას.